სდასუ

შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

პროექტი:

სტრატეგიული განვითარების გეგმა

(2025-2031)

თბილისი

2024

შესავალი

შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი (შემდგომში - „უნივერსიტეტი“, შემოკლებით - „სდასუ“) თანამედროვე ქართული საგანმანათლებლო სივრცის 33-წლიანი ისტორიის მქონე, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების დამცველი სუბიექტია, რომელიც ორიენტირებულია ინტელექტუალური რესურსები მიმართოს ქვეყნის ევროპულ სივრცეში ინტეგრაციისა და წარმატებული განვითარებისთვის.

სდასუ-ს სტრატეგიულ გეგმაში (2025-2031 წ.წ.) ასახულია უნივერსიტეტის მისია, ხედვა, ღირებულებები, მიზნები და განვითარების პრიორიტეტები 7-წლიან პერიოდში. იგი განსაზღვრავს უნივერსიტეტის მიერ დასახული მიზნების მიღწევის გზებსა და საშუალებებს, როგორც საკუთარი მატერიალურ-ტექნიკური, ადამიანური და ფინანსური, ისე მოზიდული რესურსების ეფექტიანად გამოყენებით.

სტრატეგიულ გეგმაში დეტალურადაა აღწერილი უნივერსიტეტის როგორც საგანმანათლებლო სივრცეში მოქმედი სუბიექტის ძლიერი და სუსტი მხარეების, ისე განვითარების შესაძლებლობების და რისკ-ფაქტორების ანალიზი.

სტრატეგიული გეგმით (2025-2031 წ.წ.) შემუშავებულია უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვისა და განვითარების გზები; ჩამოყალიბებულია საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პიარკამპანიის სტრატეგია შესაბამისი პრიორიტეტების მიხედვით. განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნების მიღწევის ვადები და მექანიზმები.

მიზანი

სდასუ-ს მიზანია გლობალური გამოწვევებისა და მზარდი კონკურენციის პირობებში შეინარჩუნოს საკუთარი ნიშა საგანმანათლებლო სივრცეში და განვითარდეს როგორც საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი საგანმანათლებლო და სამეცნიერო კერა;

საკუთარი წვლილი შეიტანოს საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესში; მუდმივად იზრუნოს უნივერსიტეტის ცნობადობის ამაღლებაზე როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო მასშტაბით.

მისია

შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი არის მრავალდარგოვანი კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომლის მისიაა:

- აზიაროს ახალგაზრდები თავისუფლებას, დამოუკიდებლობას, ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებსა და იდეალებს;
- ხელი შეუწყოს საზოგადოების ინტელექტუალურ, ზნეობრივ, კულტურულ და სოციალურ-ეკონომიკურ გაძლიერებას;
- განუვითაროს სტუდენტს კომპლექსური, კრიტიკული, ინოვაციური და შემოქმედებითი აზროვნება, ეთიკური ღირებულებებისადმი პატივიცემა;
- შექმნას და გაავრცელოს ახალი ცოდნა, შეინარჩუნოს და განავითაროს უნივერსიტეტის მრავალწლიანი ტრადიციები;
- ხელი შეუწყოს მუდმივად ცვალებად და გლობალურ გარემოში, მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლას, სტუდენტების მიერ ხარისხიანი განათლების მიღებას მდგრადი განვითარების მიზნების გათვალისწინებით;
- მოამზადოს კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური კადრები, შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით;
- ხელი შეუწყოს პერსპექტიული, რეალიზებადი, ინოვაციური პროექტებისა და იდეების შემუშავებას;

ხედვა

შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი არის ცნობადი, მრავალდარგოვანი, ღია აკადემიური კერა, რომელიც სწავლების თანამედროვე მეთოდებით, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამებითა და

პროექტებით, აქტუალური კვლევებითა და მრავალფეროვანი სერვისებით, პასუხობს ქვეყნის წინაშე არსებულ გამოწვევებს, ემსახურება სამოქალაქო საზოგადოების განვითარებასა და დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებას, ღირსეული ადგილი უჭირავს საგანმანათლებლო სივრცეში.

ღირებულებები და პრინციპები

- აკადემიური თავისუფლება - უნივერსიტეტი მხარს უჭერს კრიტიკულ, ინოვაციურ და შემოქმედებით აზროვნებას.
- აკადემიური კეთილსინდისიერება - საქმიანობს მიუკერძოებლობის, გამჭვირვალობის, ეთიკური ნორმების დაცვის, დაინტერესებულ პირებთან თანამშრომლობისა და უწყვეტი განვითარების პრინციპებზე დაყრდნობით, უნივერსიტეტში (განურჩევლად ეროვნებისა, მრწამსისა, სქესისა, ფიზიკური შესაძლებლობებისა და სხვ.) ქმნის თვითრეალიზაციის თანაბარ პირობებს და ღირსეულ გარემოს.
- სოციალური პასუხისმგებლობა - აფასებს და აუმჯობესებს საკუთარ საქმიანობას, ამკვიდრებს აკადემიურ კულტურას, უზრუნველყოფს პირველადი ჯანდაცვის ხელმისაწვდომობას, აცნობიერებს საზოგადოებრივ პასუხისმგებლობას და ჩართულია სამოქალაქო აქტივობებში.
- ხარისხის უზრუნველყოფა - ხელს უწყობს სწავლების, სწავლისა და სამეცნიერო კვლევის სისტემის ეფექტიან ფუნქციონირებას, როგორც ინსტიტუციურ, ისე პროგრამულ დონეზე; უზრუნველყოფს მომსახურების ხარისხის, რესურსების (ფინანსური, საინფორმაციო, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის) უწყვეტ შეფასებასა და განვითარებას.
- კორპორატიული გარემო - ხელს უწყობს მაღალი სტანდარტის კორპორატიული გარემოს დანერგვას, თანამშრომლებს შორის ღია კომუნიკაციას, კოლეგიალურობას, გუნდურ მუშაობასა და ეთიკურ ურთიერთობებს.
- მდგრადი განვითარება - უზრუნველყოფს საუნივერსიტეტო რესურსების (ინფორმაციული, ადამიანური, მატერიალური, ფინანსური და ა.შ) ეფექტიან და რაციონალურ გამოყენებას, რისკ-ფაქტორების გათვალისწინებით.
- ავტონომიურობა - სდასუ წარმოადგენს დამოუკიდებელ სტრუქტურულ ერთეულს,

რომელიც იღებს დამოუკიდებელ და ეფექტიან გადაწყვეტილებებს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

საუნივერსიტეტო ცხოვრებაში ჩართული მხარეების ანალიზი

უნივერსიტეტი, საკუთარ საქმიანობას ახორციელებს საუნივერსიტეტო ცხოვრებაში ჩართულ მხარეებთან ურთიერთობით. წლების განმავლობაში სდასუ-მ პარტნიორული ურთიერთობები დაამყარა: ქართულ და უცხოურ უნივერსიტეტებთან, სამეცნიერო საზოგადოებებთან და კვლევით ინსტიტუტებთან. უნივერსიტეტი ნაყოფიერად თანამშრომლობს სხვადასხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, კურსდამთავრებულებთან, მედიასთან, სამთავრობო სტრუქტურებთან და ადგილობრივ თვითმმართველობებთან. აღნიშნული ურთიერთობების განვითარებისას, უნივერსიტეტს არჩეული აქვს ურთიერთხელსაყრელი პარტნიორობისა და თანამშრომლობის სტრატეგია.
სდასუ-სთვის მნიშვნელოვანია თანამშრომლობა ბიზნეს-სექტორის წარმომადგენლებთან, პროფესიულ გაერთიანებებთან, სხვადასხვა კერძო თუ სახელმწიფო დაწესებულებებთან, საერთაშორისო და ადგილობრივ დონორ ორგანიზაციებთან. მათი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების პროცესში ჩართვის, სასწავლო პრაქტიკის ორგანიზების, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების დასაქმების, სტუდენტური ცხოვრების გაუმჯობესების (სპორტული, კულტურული და სხვ.), სამეცნიერო-კვლევითი და სხვა პროექტებისა თუ ღონისძიებების განხორციელების მიზნით.
სდასუ აცნობიერებს განათლების სფეროში საკუთარ პასუხისმგებლობას, სამოქალაქო საზოგადოების წინაშე და ორიენტირებულია განვითარებაზე, რაც ასახულია უნივერსიტეტის სტრატეგიულ გეგმაში.

SWOT ანალიზი

ძლიერი მხარეები

- უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობის 33 წლიანი გამოცდილება;

- უნივერსიტეტის მუდმივად მზარდი ცნობადობა და დადებითი იმიჯი;
- უნივერსიტეტის ხელსაყრელი მდებარეობა, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ინფრასტრუქტურა და სტაბილური ფინანსური რესურსი;
- შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი საბაკალავრო, ერთსაფეხურიანი, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამები;
- მდგრადი განვითარებისა და ინტერდისციპლინარული კვლევების სამსახურის არსებობა;
- თანამშრომლობა საუნივერსიტეტო საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში შესაბამისი პროფილის ადგილობრივ და საერთაშორისო პარტნიორებთან;
- თანამშრომლობა საქართველოსა და უცხოეთის სამთავრობო, კულტურულ-საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან;
- კურსდამთავრებულთა კვალიფიკაციის შესაბამისი დასაქმების მზარდი პროცენტული მაჩვენებელი;
- სტუდენტების დასაქმების მიზნით საქმიანი და აქტიური თანამშრომლობა პარტნიორ ორგანიზაციებთან (სამთავრობო და არასამთავრობო), პოტენციურ დამსაქმებლებთან;
- უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული ავტორიზებული ტელევიზია „სდასუ-TV“;
- ორგანიზებული სასწავლო პროცესი, უზრუნველყოფილი შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზითა და სათანადო რესურსებით;
- პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე ორიენტირებული სწავლება, მოდერნიზებული კვლევითი ლაბორატორიები (მათ შორის კრიმინალისტიკის, OSCE, ბიოქიმიის და სხვ.);
- ბიბლიოთეკა მდიდარი რესურსებით;
- სდასუ-ს საკუთრებაში არსებული, თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური რესურსით აღჭურვილი ქართულ-ინგლისური სტომატოლოგიური კლინიკა, რომელიც ემსახურება სტომატოლოგიის მიმართულების სასწავლო პროცესს;
- უნივერსიტეტის პირველადი სამედიცინო დახმარების ტრენინგ-ცენტრი;
- სტუდენტთა მზარდი რაოდენობა;
- მართვის გამჭვირვალე სისტემა;
- ძლიერი სტუდენტური თვითმმართველობა, ეფექტიანი სტუდენტური სერვისები;
- კვალიფიციური აკადემიური/მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალი;
- საუნივერსიტეტო შიდა საგრანტო დაფინანსების სისტემა;
- სასწავლო პროცესში უცხოელი პროფესორების ჩართულობა;

- უნივერსიტეტის გარე შეფასების პროცესში ადგილობრივი და უცხოელი ექსპერტების ჩართულობა.

სუსტი მხარეები

- საერთაშორისო სტრატეგიულ პარტნიორთა სიმცირე;
- უცხოენოვანი პერსონალის სიმცირე;
- უცხოენოვანი პროგრამების არარსებობა;
- საერთაშორისო მობილობის არარსებობა;
- საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მიერ გაცემული გრანტების სიმცირე;
- საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში კვლევების სიმცირე.

განვითარების შესაძლებლობები

- სასწავლო პროცესის ინტერნაციონალიზაციის გაღრმავება, საერთაშორისო თანამშრომლობის გაზრდა და საერთაშორისო საგანმანათლებლო სისტემაში ინტეგრირება;
- ონლაინ სწავლების პლატფორმის შემუშავება და სასწავლო პროცესის ადაპტირება თანამედროვე მოთხოვნებთან;
- საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაღრმავება;
- კვალიფიკაციის მიხედვით სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლის ზრდა;
- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამისა (მოიცავს არანაკლებ 180 კრედიტს) და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის (მოიცავს არანაკლებ 60 კრედიტს) შემუშავება-დანერგვა;
- ახალი აკადემიური პროგრამების (მათ შორის ინგლისურენოვანი) შემუშავება და პროგრამების მოდერნიზება შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად;
- საერთაშორისო მობილობის ზრდის ხელშეწყობა;
- საერთაშორისო აკრედიტაციის მოპოვება ცალკეული ცალკეული აკადემიური პროგრამისთვის;
- კვლევის პრიორიტეტული სფეროების იდენტიფიცირება და შიდა საგრანტო დაფინანსების სისტემის განვითარება - გაძლიერება;
- ადგილობრივ და საერთაშორისო კვლევით ინსტიტუტებთან და ცენტრებთან თანამშრომლობის გაღრმავება;

- აბიტურიენტების მოსაზიდად სხვადასხვა პიარტაქტიკის შემუშავება;
- სდასუ-ს შეთავაზებულ სერვისებზე ინფორმაციის გავრცელება და მოთხოვნის ზრდის ხელშეწყობა;
- უნივერსიტეტის განვითარებისათვის კურსდამთავრებულთა ინტეგრირების ხელშეწყობა სხვადასხვა პროექტებში;
- სდასუ-ს შენობის ფართის გაზრდა და შესაბამისად აღჭურვა..

რისკები და საფრთხეები

- მოსახლეობის მძიმე სოციალური ფონი;
- ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები;
- საგანმანათლებლო სივრცეში მაღალი კონკურენცია;
- ქვეყნიდან მოსახლეობის, განსაკუთრებით, ახალგაზრდების გადინება;
- განუსაზღვრელობის ფაქტორი ქვეყნის მდგრად განვითარებაში.

სტრატეგიული მიზნები

საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების, უნივერსიტეტის წინაშე არსებული პრობლემებისა და საგანმანათლებლო სივრცეში არსებული გამოწვევების ანალიზის საფუძველზე, ჩამოყალიბდა უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული მიმართულებები 2025-2031 წლებისათვის. ესენია:

1. **სამეცნიერო-კვლევების განვითარება;**
2. **საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება;**
3. **ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა;**
4. **სტუდენტური სერვისების განვითარება;**
5. **ინსტიტუციური განვითარება.**

სტრატეგიული გეგმა 2025-2031

N	სტრატეგიული მიზანები და ამოცანები	ინდიკატორები
1	**სტატეგიული მიზანი: სამეცნიერო-კვლევების განვითარება**	
	ამოცანა 1. სამეცნიერო-კვლევითი პრიორიტეტების განსაზღვრა; **ამოცანა 2.** უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შედეგების პოპულარიზაცია და კომერციალიზაცია; **ამოცანა 3.** მინიმალური საუნივერსიტეტო კვლევითი სტანდარტის განვითარება	➢ განსაზღვრულია სამეცნიერო კვლევების პრიორიტეტები; ➢ კვლევები ინტეგირებულია სასწავლო პროცესში; ➢ უნივერსიტეტში შიდა გრანტებით დაფინანსებული პროექტები; ➢ სხვადასხვა ფონდების მიერ დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები; ➢ უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომების ციტირების ინდექსები; ➢ პუბლიკაციების, სტატიების რაოდენობა; ➢ საავტორო უფლებები და სხვა არამატერიალური აქტივები; ➢ საგანმანათლებლო პროცესში ჩართული სამეცნიერო პერსონალი; ➢ ბაკალავრების/მაგისტრანტების ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი სამეცნიერო პერსონალის რაოდენობა; ➢ შექმნილია სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი
2	**სტრატეგიული მიზანი: საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება**	
	ამოცანა 1. საგანმანათლებლო პროგრამების მუდმივი	➢ დახვეწილია ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები;

	მოდერნიზება შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად; **ამოცანა 2.** ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების დახვეწა; **ამოცანა 3.** ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების გათვალისწინებით (მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი პროგრამა, ინგლისურენოვანი პროგრამა, ინტერდისციპლინარული საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა); **ამოცანა 4.** საერთაშორისო ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება და მისი წარდგენა საერთაშორისო აკრედიტაციაზე; **ამოცანა 5.** ონლაინ უნივერსიტეტის შექმნა; **ამოცანა 6.** ახალი საბაკალავრო (180 კრედიტიანი) და სამაგისტრო (60 კრედიტიანი) პროგრამების შექმნა. **ამოცანა 7.** სწავლა/სწავლების მეთოდების დახვეწა	➢ ამოქმედებულია ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამები; ➢ მიღებულია საერთაშორისო აკრედიტაცია; ➢ ამოქმედებულია ონლაინ უნივერსიტეტი; ➢ გაზრდილია უნივერსიტეტის სტუდენტთა აკადემიური მოსწრება საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით; ➢ დანერგილია სწავლების თანამედროვე მეთოდები; ➢ შექმნილია ახალი ტიპის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები; ➢ დოქტორანტურის კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კვლევის შედეგები; ➢ უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებზე დარეგისტრირებული სტუდენტების რაოდენობა; ➢ უნივერსიტეტის ფაკულტეტების ჩართულობა აბიტურიენტებისთვის შეთავაზებულ სერვისებში; ➢ საზოგადოებისგან უკუკავშირი, რომელიც ეხება უნივერსიტეტის უწყვეტი განათლების პროგრამებს. ➢ ინტერდისციპლინარული პროგრამები.
3	**სტრატეგიული მიზანი: ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა**	

	ამოცანა 1 . პერსონალისა და სტუდენტების საერთაშორისო მობილობის ხელშეწყობა; **ამოცანა 2.** განათლებისა და მეცნიერების თანამედროვე გამოწვევების შესაბამისი საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება	➢ ამოქმედებულია პარტნიორ ინსტიტუციებთან თანამშრომლობის მექანიზმი; ➢ გაზრდილია საერთაშორისო მობილობა; ➢ ხორციელდება ერთობლივი საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი პროექტები; ➢ განვითარებული და ამოქმედებულია საერთაშორისო და ადგილობრივი ფონდების მოზიდვის მექანიზმი; ➢ სამეცნიერო კვლევებისა და უწყვეტი განათლების ცენტრი ხელს უწყობს პერსონალის კვალიფიკაციის ზრდას; ➢ გარე შეფასების პროცესში უცხოელი ექსპერტების მონაწილეობა.
4	**სტრატეგიული მიზანი: სტუდენტური სერვისების განვითარება**	
	ამოცანა 1. სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების მექანიზმების სრულყოფა **ამოცანა 2.** სსსმ და შშმ პირების საგანმანათლებლო პროცესში ჩართულობის მექანიზმების სრულყოფა; **ამოცანა 3.** სტუდენტთა ცხოვრების განვითარება	➢ სტუდენტთა სერვისები ➢ სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და კურსადმათავრებულთა დასაქმების ხელშეწყობის ცენტრის მიერ ჩატარებული ღონისძიებები; ➢ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის შედეგები; ➢ კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კვლევის შედეგები; ➢ სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მიერ დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობები
5	**სტრატეგიული მიზანი: ინსტიტუციური განვითარება**	

	ამოცანა 1. უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმის მიზნების მიღწევის მონიტორინგი და შეფასება; **ამოცანა 2.** მმართველობის ორგანიზაციული და ინსტიტუციური სრულყოფა; **ამოცანა 3.** უნივერსიტეტის მენეჯმენტის პროფესიული განვითარება; **ამოცანა 4.** აკადემიური/მოწვეული სამეცნიერო პერსონალის კვალიფიკაციის სისტემური ამაღლება; **ამოცანა 5**. ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფა ამოცანა 6. საბიბლიოთეკო რესურსების განვითარება **ამოცანა 7.** ადაპტირებული სასწავლო გარემოს განვითარება **ამოცანა 8.** სასწავლო გარემოს განვითარება.	➢ აკადემიური საბჭოსა და ფაკულტეტის საბჭოების საქმიანობა; ➢ უნივერსიტეტში არსებობს შესაბამისი დებულებები და ნორმატიული აქტები; ➢ ჩატარებული ტრენინგები და სემინარები; ➢ სტრატეგიული განვითრების გეგმის მონიტორინგისა და შეფასების ჯგუფის ანგარიშები; ➢ აკადემიური/მოწვეული/ადმინისტრაციული პერსონალის კმაყოფილების კვლევის შედეგები; ➢ განახლებული და თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი აუდიტორიები/ლაბორატორიები; ➢ პროცესების მართვის გაუმჯობესებული საინფორმაციო სისტემა და სტუდენტებისთვის ინფორმაციის ხელმისწვდომობის გამარტივება; ➢ განვითარებულია ადაპტირებული გარემო; ➢ ერგოეკონომიკური გარემოს არსებობა.